აგვისტო-სექტემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ფრანგი ფოტოგრაფის, ოურელიენ ვილეტის ნამუშევრების სახელწოდებით "War Silence" საქველმოქმედო გამოფენა გაიმართა



6 აგვისტოს, ქალაქ ლაიდენში, საკათედრო ტაძარში - Hooglandse, ფონდ „არტ-ექოს“ ორგანიზებით გაიმართა ფრანგი ფოტოგრაფის ოურელიენ ვილეტის ოკუპირებულ აფხაზეთში მოგზაურობის დროს შექმნილი ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა, სახელწოდებით "War Silence".

რუსული ოკუპაციის უმძიმესი შედეგები, მიტოვებული სახლები, სკოლები, სანატორიუმები, დანგრეული ნაგებობები, დღეს ადამიანებისგან დაცლილი ოდესღაც სიცოცხლით სავსე ქალაქები და სოფლები, გამოფენის ლეიტმოტივს საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებთა ტრაგედია წარმოადგენს.

ფონდ „არტ-ექოს“ დამფუძნებლის, დალი უბილავა დე გრააფის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, დამსწრე საზოგადოებას მიმართეს ლაიდენის ვიცე-მერმა, აბდელჰა ქიერმუმიმ, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, დავით სოლომონიამ და აფხაზეთის ავატონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრმა და საქართველოს პარლამენტის ყოფილმა ვიცე-სპიკერმა, ვახტანგ ყოლბაიამ.

გამოფენის მიმდინარეობისას, ახალგაზრდა უკრაინელმა კომპოზიტორმა, მაასტრიხტის კონსერვატორიის სტუდენტმა, ალექსანდრე იუხუმოვიჩმა შეასრულა სავიოლინე კომპოზიციები, ხოლო ქართველმა ვოკალისტმა, თბილისის კონსერვატორიის სტუდენტმა, ლიზა მებონიამ - ქართული და უცხოური მუსიკალური ნაწარმოებები.

გამოფენა 30 აგვისტომდე გაგრძელდა და შემოსული თანხა გადაეცა უკრაინაში რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების ორგანიზაციას - ჰუმანიტარული ძალისხმევის ეროვნულ ფონდს - GIRO555/Ukraine.

ღონისძიებას ლაიდენის მაცხოვრებლებთან და ნიდერლანდებში საქართველოს სათვისტომოს წარმომადგენლებთან ერთად, ასევე ესწრებიდნენ ლტოლვილები უკრაინიდან.

ფოტო გამოფენის ფარგლებში, ლაიდენის Hooglandse-ს საკათედრო ტაძარში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულ მეომართა მოსახსენიებლად აღევლინა წირვა.

აგვისტო-სექტემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქველმოქმედო კონცერტი „ძალა ერთობაშია“

13 აგვისტოს, ქ. ლოდში საქართველოს საპატრიარქოს ქართულ სახლში, “ქართული ხელოვნების ცენტრის” ორგანიზებით, საქველმოქმედო კონცერტი, სახელწოდებით „ძალა ერთობაშია“ გამართა, რომელსაც ქართული დიასპორის წარმომადგენლები დაესწრნენ.

კონცერტში მონაწილეობდნენ მომღერალი საქართველოდან ნათია სუდაძე და ვოკალის პედაგოგი ელენე მელქაძე.

საქველმოქმედო კონცერტიდან შემოსული თანხა მთლიანად გადაეცა ქართულ სახლს, მიმდინარე საჭიროებებისთვის.

ბრანდენბურგის ფედერალური მიწის ლანდტაგის ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი აჭარაში

30 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე, გერმანიაში მოქმედი „ბრანდენბურგ-საქართველოს საზოგადოებისა“ და მისი ხელმძღვანელის, პავლე შპეტიშვილის ორგანიზებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შედგა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბრანდენბურგის ფედერალური მიწის ლანდტაგის ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი. დელეგაციას, რომელიც აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, დავით გაბაიძის მიწვევით იმყოფებოდა, ლანდტაგის პრეზიდენტი ულრიკე ლიდტკე ხელმძღვანელობდა.

დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში ლანდტაგის დარგობრივი კომიტეტების თავმჯდომარეების მოადგილეები და ბრანდენბურგ-საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე, პავლე შპეტიშვილი შედიოდნენ, აჭარას პოსტპანდემიურ პერიოდში თანამშრომლობის განახლება-გააქტიურების მიზნით ესტუმრა.

შეხვედრაზე მხარეებმა ორი ქვეყნას შორის წლების წინ დაწყებული მჭიდრო თანამშრომლობის გაღრმავების და ხელშეწყობის საკითხებზე ისაუბრეს. ყურადღება გამახვილდა პეტიციების, მათში მოქალაქეთა ჩართულობის, ევროსტრუქტურებში საქართველოს მხარდაჭერისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო აჭარის საკანონმდებლო ორგანოს, ქვემო სილეზიის სეიმისა და ბრანდენბურგის ლანდტაგის ორგანიზებით რეგიონული პარლამენტების კონფერენციის ჩატარებას, რომელიც ღია მმართველობის საკითხებს დაეთმობა.

სტუმრებმა დაათვალიერეს საკანონმდებლო ორგანოს შენობა და სამახსოვრო ჩანაწერი დატოვეს შთაბეჭდილებათა წიგნში. აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 6 ივნისს, პოტსდამში, აჭარის უმაღლეს საბჭოსა და ბრანდენბურგის ლანდტაგს შორის გაფორმდა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი. დოკუმენტი, მხარეებს შორის თანამშრომლობასთან ერთად, საპარლამენტო, რეგიონული და ფედერალური მმართველობის გამოცდილების გაზიარებასა და ერთობლივი ინიციატივების განხორციელებას ითვალისწინებს.

ვიზიტის ფარგლებში, 31 აგვისტოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბრანდენბურგის ფედერალური მიწის პარლამენტის პრეზიდენტს, დოქტორ ულრიკე ლიდტკეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, თორნიკე რიჟვაძე შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე და ერთობლივ პროექტებზე ისაუბრეს.

აგვისტო-სექტემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

აჭარაში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება გერმანიასთან თანამშრომლობის ფარგლებში. აღსანიშნავია წყალარინების სისტემის რეაბილიტაციის პროექტი, რომლითაც აჭარაში მცხოვრები 6000-მდე ოჯახი ისარგებლებს. პროექტი გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით ხორციელდება.

მჭიდრო თანამშრომლობაა ახალგაზრდულ გაცვლით პროექტებში, როგორიცაა „მუსიკა, როგორც უნივერსალური ენა კულტურათა შორის“ და „სპორტი როგორც მეგობრობის ხიდი“, ასევე ტურიზმის მიმართულებით. გრძელდება ერთობლივი პროექტები განათლების სფეროში. აჭარის მთავრობის ხელშეწყობით, ბათუმის საზღვაო აკადემიის 10 სტუდენტი ფლენსბურგის უნივერსიტეტში გააგრძელებს სწავლას.

ყოველწლიური ფესტივალი „მრავალენოვანი თესალონიკი“

2 სექტემბერს, ქ.თესალონიკში გაიმართა ყოველწლიური ფესტივალის „მრავალენოვანი თესალონიკის“ გახსნის საზეიმო ცერემონია, სადაც წარმოდგენილი იყო საქართველოს სტენდი.

ფესტივალზე თესალონიკში მოქმედმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „საქართველო“ ქართული ეროვნული ცეკვები წარმოადგინეს, ხოლო კომპოზიტორ მეგი ბოსტაღანაშვილი-კულის მოსწავლეებმა და ქართული საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა შეასრულეს ქართული სიმღერები.

ფესტივალის ფარგლებში, ასევე, გაიმართა თესალონიკში მოღვაწე ქართველი მხატვარის, ნინო ონიანის ნამუშევრების გამოფენა.

გახსნის საზეიმო ცერემონიაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ქ.თესალონიკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა, ნოდარ კომახიძემ.

აგვისტო-სექტემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

„ხუთი კონტინენტის კულტურათა“ ფესტივალი ქ. ათენში

3 სექტემბერს, ქ. ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრ „კავკასიას“-თან არსებულმა ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლმა „კავკასია“ მონაწილეობა მიიღო პირეოსისა და კუნძულთა UNESCO-ს ასოციაციის მიერ გამართულ IV საერთაშორისო ფესტივალში - „ხუთი კონტინენტის კულტურათა“ ფესტივალი.

ფესტივალზე ქართულმა ქორეოგრაფულმა ანსამბლმა სამი ეროვნული ცეკვა წარადგინა: „ნარნარი“, „ქართული“ და „ჯეირანი“.

შეხვედრა ქ. საქარიის ქართველთა და ლაზთა კულტურის ასოციაციასთან

3 სექტემბერს, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა თურქეთის რესპუბლიკაში, გიორგი ჯანჯღავამ შეხვედრა გამართა თურქეთის ქ. საქარიის ქართველთა და ლაზთა კულტურის ასოციაციის ხელმძღვანელთან, მუსტაფა ქოლათთან და ასოციაციის მმართველთა საბჭოს წევრებთან.

საქართველოს ელჩმა შეხვედრისას ყურადღება გაამახვილა ქართული დიასპორის და სახალხო დიპლომატიის მნიშვნელოვან როლზე და ასოციაციის მესვეურებს მადლობა გადაუხადა, ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების განმტკიცებისა და საქართველოს პოზიტიური იმიჯის წარმოჩენის საქმეში შეტანილი წვლილისთვის. ამასთან, საქართველო-თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 30 წლისთავთან დაკავშირებით, ელჩმა გიორგი ჯანჯღავამ ქ. საქარიის ქართველთა და ლაზთა კულტურის ასოციაციის დამფუძნებელსა და თავმჯდომარეს, მუსტაფა ქოლათს (კოლოტაშვილი), სიმბოლური საჩუქარი გადასცა.

აღსანიშნავია, რომ საქარიის ქართველთა და ლაზთა კულტურის ასოციაცია 2018 წელს დაარსდა და დღემდე, აქტიურად ეწევა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. ასოციაციის ბაზაზე, მოქმედებს ქართულისა და ლაზურის ენების შემსწავლელი კურსები. ამასთან, ჩამოყალიბდა ქორეოგრაფიული ანსამბლიც, რომლის რეპერტუარშიც, ძირითადად, წარმოდგენილია ქართული და კავკასიური ხალხური ცეკვები.

აგვისტო-სექტემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საელჩოების ფესტივალი ჰააგაში

3 სექტემბერს, ჰააგის ცენტრალურ სივრცეში (Lange Voorhout) ყოველწლიური საელჩოების ფესტივალი გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ. ფესტივალი შედგებოდა საერთაშორისო ბაზრობისა და მუსიკალური სექციებისგან.

ფესტივალის სასცენო ნაწილი გახსნა ფოლკლოლურმა ანსამბლმა „მეგობრები“, რომელმაც მსმენელის წინაშე ქართული პოლიფონიური ჰანგები შეასრულა.

ფესტივალის საერთაშორისო ბაზრობაზე წარმოდგენილი იყო საქართველოში წარმოებული პროდუქციის მრავალფეროვნება - მათ შორის სხვადასხვა დასახელების ღვინოები, ტრადიციული კერძები, ხალხური რეწვის ნიმუშები და ხელნაკეთი სუვენირები. დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა, მიეღო ინფორმაცია საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ და ქართული პროდუქცია წარადგინეს ნიდერლანდებში მოქმედმა ორგანიზაციებმა: დიასპორული ორგანიზაცია World of Diaspora, ღვინის კომპანია Ghvino.NL-Georgische Wijnspeciaalzaak; ღვინის კომპანია TSV Winery - მეღვინეობა თიესვი; ღვინის კომპანია TIKA WINE; საიუველირო კომპანია TINATIN; ხელნაკეთი ნივთების მაღაზია Cadeau-Mandjes22; ღვინის კომპანია 8Millennium; ქართული რესტორანი SUHUMI; ღვინის კომპანია Andere Wijn; საიუველირო მაღაზია Manas-Juwelen.NL.

ფესტივალს ფართო აუდიენცია დაესწრო, რომელთა შორისაც იყვნენ ადგილობრივი მაცხოვრებლები, ტურისტები, ნიდერლანდებში მცხოვრები ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები და ქართველი დიპლომატები.

საერთაშორისო გასტრონომიული ფესტივალი პარიზში

3 და 4 სექტემბერს, პარიზში მოქმედმა ქართულმა დიასპორულმა ორგანიზაციამ - ქართველთა კულტურის კერა ,,ლაზმა' და მასთან არსებულმა ცეკვის ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო გასტრონომიის საერთაშორისო ფესტივალში.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ქართული სტენდი. ანსამბლმა ქართული ეროვნული ცეკვები შეასრულა.

აგვისტო-სექტემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

შეხვედრა პროგრამის „იყავი შენი ახალგაზარდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებულთან, თამარ მნათობიშვილთან

19 სექტემბერს, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩოში გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზარდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებულთან, თამარ მნათობიშვილთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა.

შეხვედრაზე, რომელსაც ქართული დიასპორის წარმომადგენელები და საქართველოს საელჩოს თანამშრომლები ესწრებოდნენ, თამარ მნათობიშვილმა ერთწლიანი მანდატის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები და აქტივობები წარადგინა.

საგრანტო პროგრამა ხორციელდება მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით და პროგრამის მიზანს წარმოადგენს საქართველოს პოპულარიზაცია, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის, აგრეთვე დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხებზე საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირებულობის გაზრდა, საქართველოს უცხოელ ახალგაზრდა მეგობართა ქსელის შექმნა, ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან ურთიერთობა და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დიასპორის წარმომადგენლებთან ონლაინ შეხვედრა გამართა

20 სექტემბერს, საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა ონლაინ შეხვედრა - ,,ეკონომიკა და ბიზნესი - ქართული დიასპორა ქვეყნის განვითარებისთვის“, სადაც მონაწილეობდნენ თანამემამულეები, რომლებიც უცხოეთში ბიზნესის სხვადასხვა სფეროში საქმიანობენ.

შეხვედრაზე მინისტრის მოადგილემ, ვლადიმერ კონსტანტინიდიმ აღნიშნა, რომ დიასპორის წარმომადგენელთა მხრიდან დიასპორის ქვეყნის ეკონომიკური აღმშენებლობის პროცესში ჩართულობა, საქართველოს საინვესტიციო გარემოთი და ეკონომიკური შესაძლებლობებით დაინტერესება დღითიდღე იზრდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი რეგულარული ინფორმირება საქართველოში მიმდინარე პროცესების, გატარებული რეფორმების და ეკონომიკური ტენდენციების შესახებ, რაც ჩვენს თანამემამულეებს საშუალებას მისცემს არა მხოლოდ განახორციელონ საინტერესო ბიზნეს პროექტები, არამედ შეასრულონ ერთგვარი „საინვესტიციო წარმომადგენლების“ როლი უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობისას. მან ასევე აღნიშნა, რომ დღევანდელი შეეხვედრა არის ა. წ. 27 მაისს, ქ. თბილისში დიასპორის დღის ფარგლებში გამართული ფორუმის გაგრძელება, სადაც „ბიზნესის და ეკონომიკის“ თემატური ჯგუფის მონაწილეებმა გამოხატეს სურვილი პერიოდულად, ონლაინ ფორმატში მიიღონ ინფორმაცია ბიზნეს სიახლეების შესახებ.

შეხვედრაზე სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორმა, ნოშრევან ლომთათიძემ და სსიპ „აწარმოე საქართველოს“ საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსმა, ქეთევან ჩუხუამ განიხილეს საქართველოს სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს, ბიზნესის მხარდამჭერი ეროვნული და საერთაშორისო პროგრამები. ყურადღება გამახვილდა საზღვარგარეთ წარმატებული თანამემამულე მეწარმეების მიერ ევროპულ ბაზარზე დამკვიდრების საკუთარი გამოცდილების გაზიარებაზე, პრაქტიკულ თუ ფორმალურ საკითხებზე.

აგვისტო-სექტემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ბუდაპეშტში სოფო მაღალაშვილის ნამუშევრების გამოფენა გაიმართა

21 სექტემბერს, ბუდაპეშტის ერთ-ერთ ცენტრალურ გალერეაში „Nagyhazi Contemporary Gallery and Auction House“, უნგრეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანის სოფო მაღალაშვილის ნამუშევრების გამოფენის, სახელწოდებით - "New World /Selected Works” ოფიციალური გახსნის ცერემონია გაიმართა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ უნგრეთის კულტურის, ხელოვნებისა და აკადემიური წრეების, დიპლომატიური კორპუსისა და მედიის წარმომადგენლები.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ზაალ გოგსაძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა უნგრეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანის გამოფენის სიმბოლურ მნიშვნელობას საქართველოსა და უნგრეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლისთავის კონტექსტში. სიტყვით, ასევე, გამოვიდნენ გალერეის დამფუძნებელი ლორინც ნაძჰაზი და გამოფენის კურატორი, ხელოვნებათმცოდნე უილიამ გუბა, რომლებმაც ისაუბრეს სოფო მაღალაშვილის შემოქმედებაზე. ქართველი ხელოვანის „სიკეთით, სიმშვიდითა და სინათლით სავსე სამყარომ“ დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ გამართულ მიღებაზე წარმოდგენილი იყო ქართული კერძები და ღვინო.

გამოფენა გაიმართა საქართველოს საელჩოს, გალერეა Nagyhazi Contemporary Gallery and Auction House-ისა და უნგრეთში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებულის, თამუნა ჯაფარიძის ერთობლივი ორგანიზებით და მიეძღვნა საქართველოსა და უნგრეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლისთავს.

“გლობალური კონფერენცია მეცნიერებაში დიასპორული ქსელების შესახებ”

22 სექტემბერს, გლობალური კონფერენციის - „The Global Conference for Diaspora Networks in Science“ ფარგლებში ჩატარდა სესია სახელწოდებით - ,,ქართული დიასპორა და მეცნიერება საზღვრებს გარეთ“. ონლაინ ღონისძიებაზე წარმოჩინდა დიასპორაში არსებული ადამიანური და სოციალური კაპიტალის მნიშვნელობა ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის და ინტერნაციონალიზაციის ხელშესაწყობად.

სესიის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ვლადიმერ კონსტანტინიდიმ. მან მიმოიხილა საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა და ის პროგრამები, რომლებიც ქართული დიასპორის ქვეყნის განვითარების პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს. ვლადიმერ კონსტანტინიდიმ ხაზგასმით აღნიშნა პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განხორციელებული და დაგეგმილი პროექტები, რომლებიც სწორედ მაღალკვალიფიციურ დიასპორასთან ორმხრივად სარგებლიანი ურთიერთობის განვითარებისკენაა მიმართული.

სესიის მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ნუნუ მიცკევიჩმა. მან ხაზი გაუსვა კვლევისა და ინოვაციების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით საქართველოს სახელმწიფოს მიერ ბოლო პერიოდში გადადგმულ ნაბიჯებს, დამსწრე საზოგადოებას გააცნო ევროკავშირის პროგრამა ,,ჰორიზონტი ევროპა/ Horizon Europe’’-თან ასოცირების სიკეთეები და, მის ფარგლებში, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მეცნიერების ჩართულობის და ერთობლივ კვლევით პროექტებზე მუშაობის შესაძლებლობები.

ქართული დიასპორისა და მეცნიერების შესახებ თემატური სესიის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მოესმინათ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის, ევროკავშირის მეცნიერებისა და დიპლომატიის ალიანსის, მიგრაციის საერთაშორისო ორანიზაციის (IOM) წარმომადგენლებისთვის. სესიაზე ქართული მეცნიერების საერთაშორისო ასპარეზზე წარდგენისა და

აგვისტო-სექტემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

განვითარების შესახებ პრეზენტაცია წარადგინა გერმანიაში მცხოვრებმა ქართველმა მეცნიერმა, ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა მანანა თანდაშვილმა.

გლობალური კონფერენცია მეცნიერებაში დიასპორული ქსელების შესახებ არის მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით ჩატარებული გლობალური დიასპორული სამიტის (Global Diaspora Summit 2022, ქ. დუბლინი) შემდგომი კიდევ ერთი ღონისძიება.

ქართული ხელნაწერებისა და დამწერლობის გამოფენა სან-ფრანცისკოში

22 სექტმბერს, ქ. სან-ფრანცისკოში საქართველოს გენერალური საკონსულოს, დიასპორული ორგანიზაციის - „ქართული მემკვიდრეობის ფონდი“ და სსიპ - საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთობლივი ძალისხმევით, გენერალურ საკონსულოში გაიმართა ქართული ხელნაწერებისა და დამწერლობის გამოფენა.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს გენერალურმა კონსულმა, ლევან ბერიძემ და ქართული მემკვიდრეობის ფონდის ხელმძღვანელმა, ლიანა ნიცეცკაიამ, რომლებმაც ისაუბრეს ქართული ისტორიისა და კულტურის მნიშვნელობაზე.

ყველა მსურველს შესაძლებლობა ჰქონდა პირადად გაცნობოდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ რამდენიმე უნიკალურ ქართულ ხელნაწერს და მოესმინა ცენტრის წარმომადგენლის, ზურაბ სამარღანიშვილის პრეზენტაცია ქართული ხელნაწერების ისტორიაზე.

გამოფენას ესწრებოდნენ სან-ფრანცისკოში აკრედიტებული გენერალური საკონსულოების წარმომადგენლები, ადგილობრივი სახელმწიფო უწყებების წევრები, კალიფორნიის საგანმანათლებლო და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები.

გურამ ოდიშარიას მოთხრობისადმი „დევნილთა უღელტეხილი“ მიძღვნილი ლიტერატურული საღამო

23 სექტემბერს, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩოში გაიმართა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, გურამ ოდიშარიას მოთხრობის „დევნილთა უღელტეხილი“ ნიდერლანდურ ენაზე თარგმანისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო. ცალკე წიგნად გამოცემული მოთხრობა ეხება 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემისა და აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის საკენი-ჭუბერის უღელტეხილზე გადმოსვლის ტრაგედიას. გურამ ოდიშარია, რომელიც აღწერილი მოვლენების უშუალო მონაწილეა, დამსწრე საზოგადოებას ვიდეო ჩართვის საშუალებით მიესალმა.

აგვისტო-სექტემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, დავით სოლომონიამ თავის მიმართვაში ისაუბრა იმ მძიმე ხვედრზე, რომელიც წილად ხვდა აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას. მან ასევე აღნიშნა, რომ წიგნის გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოსა და ნიდერლანდებს შორის კულტურის სფეროში ურთიერთობათა მიმართულებით და გამოთქვა რწმენა, რომ ყოველივე ეს იქნება სტიმული ორი ქვეყნის ლიტერატორებს შორის შემოქმედებითი თანამშრომლობის გაძლიერებისათვის.

ნაწარმოების ნიდერლანდურ ენაზე თარგმანის ავტორმა, ნიდერლანდებში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა ლიტერატორმა, არჩილ ჯავახაძემ ისაუბრა წიგნის მაღალ ლიტერატურულ ფასეულობაზე.

ღონისძიების დასკვნით ნაწილში, სიტყვით გამოვიდა დიასპორული ორგანიზაცია World of Diaspora-ს დამფუძნებელი, ლალი ბუთბაია, რომელმაც თავის მიმართვაში ხაზი გაუსვა სახალხო დიპლომატიის მნიშვნელობას შერიგებისა და რეინტეგრაციის პროცესში.

„ბათუმის დღეები“ ქ. ტრაპიზონში

23-24 სექტემბერს, ქ. ტრაპიზონში საქართველოს გენერალური საკონსულოს ინიციატივითა და ორგანიზებით, ბათუმისა და ტრაპიზონის მერიებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით „ბათუმის დღეები“ გაიმართა.

ღონისძიების ფარგლებში, ტრაპიზონის გუბერნიას წარმომადგენლობითი დელეგაცია ეწვია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთვარობის წარმომადგენლები, ქ. ანკარაში საქართველოს საელჩოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი, დიანა მალაზონია, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, ლევან ჯაში.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ოფიციალური შეხვედრები ტრაპიზონის ვილაიეთის გუბერნატორთან, ისმაილ უსტაოღლუსთან და ტრაპიზონის მერთან, მურათ ზორლუოღლუსთან. შეხვედრების ფარგლებში, განხილულ იქნა ბათუმსა და ტრაპიზონს შორის ჰუმანიტარულ, კულტურულ-სპორტულ, სავაჭრო-ეკონომიკურ და ტურიზმის სფეროებში ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების საკითხები. ტრაპიზონისა და ბათუმის მერების მიერ ხელი მოეწერა მემორანდუმს „ორ ქალაქს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობების განმტკიცების შესახებ და გაიმართა ბათუმისა და ტრაპიზონის ქალაქების სიმბოლიკიანი სპეციალური მარკა-სუვენირის პრეზენტაცია.

ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრებმა, მათ შორის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ, ლევან ჯაშმა შეხვედრა გამართეს აღმოსავლეთ შავიზღვისპერეთის რეგიონში მცხოვრები ქართული დიასპორული ორგანიზაციების თავმჯდომარეებთან და წევრებთან.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ,,უნიეს ქართული კულტურისა და მეგობრობის ასოციაციის“ თავმჯდომარე მეჰმეთ უთუ, ,,ჩარშამბას ქართული კულტურის ცენტრის“ ხელმძღვანელი, ომერ სემიზი, ,,ორდუს

აგვისტო-სექტემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და ურთიერთდახმარების ასოციაციის“ თავმჯდომარე ექრემ ქოშუმი, ,,სალიფაზარის ქართული კულტურის ასოციაციის“ ხელმძღვანელი ადემ იაზიჯი, სტამბოლის „ქართული კულტურის ცენტრის“ ხელმძღვანელი ფეჰმი უზალი (უსტიაშვილი), სტამბოლის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე ორჰან ბერიძე და თურქეთის შავიზღვისპირეთის სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები ქართული წარმოშობის ბიზნესმენები.

შეხვედრაზე ხაზი გაუსვეს თურქეთში მოქმედი ქართული ისტორიული დიასპორული ორგანიზაციების წვლილს ორი ქვეყნის მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობების განმტკიცების საქმეში. შეხვედრის დროს აღინიშნა, რომ ქართული სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართული ისტორიული დიასპორის წარმომადგენლებთან ურთიერთობას, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია თურქეთში მცხოვრები ქართველების სამშობლოსთან კავშირების გაძლიერებისთვის, ასევე, ქართული ენის, კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებისთვის. სიტყვით გამოსვლისას ქართული დელეგაციის წევრებმა აგრეთვე ხაზი გაუსვეს საქართველოს ახალ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილების მნიშვნელობას, რომლის თანახმადაც კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი, რომ სახელმწიფო ვალდებულებას იღებს იზრუნოს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირების შენარჩუნებასა და განვითარებაზე, რაც მიუთითებს საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრები თანამემამულეების მიმართ სახელმწიფოს მაღალ პასუხისმგებლობაზე.

„ბათუმის დღეების“ ფარგლებში, ტრაპიზონის მერიის კულტურის ცენტრში გაიმართა ქართული ეროვნული სამოსისა და ქართველი მხატვრების ფერწერული ტილოების გამოფენა. კულტურის ცენტრის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა გალა-კონცერტი, რომლშიც მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი და ისე ქორეოგრაფიული და ვოკალური ანსამბლები საქართველოდან.

მუსიკალური პროექტის პრემიერა ავსტრიაში

24 სექტემბერს, ქ. ვაიდჰოფენში გაიმართა ავსტრიაში მოღვაწე ქართველი ხელოვანის, თათა ასათიანი-აიგნერის (Filia Solis) მულტიმედიური მუსიკალური პროექტის – “Children Of The Sun” პრემიერა.

პრემიერა შედგა ავსტრიის ეროვნული საბჭოს (პარლამენტი) პრეზიდენტის ვოლფგანგ სობოტკასა და ქ.ვაიდჰოფენის მერის ვერნერკრამერის პატრონაჟითა და ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით. ღონისძიებას სხვა მოწვეულ სტუმრებთან ერთად, ესწრებოდნენ საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებიც.

ათენის თეატრში ნიკო გომელაურის სახელობის თეატრის სპექტაკლის პრემიერა გაიმართა

25 სექტემბერს, ათენის თეატრში „ალფა“ გაიმართა ათენში მოქმედი „ნიკო გომელაურის სახელობის თეატრის“ (რეჟისორი ნიკოლოზ ტყავაძე) მიერ დადგმული სპექტაკლს „გოდოს მოლოდინში“ ჩვენება.

ნობელისტი ირლანდიელი მწერლის, სემუელ ბეკეტის ცნობილი პიესის მიხედვით დადგმულმა სპექტაკლმა ქართველი და ბერძენი მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროგრამის „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერის“

აგვისტო-სექტემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ფარგლებში საკონკურსო კომისიამ გრანტი მიანიჭა ნიკოლოზ ტყავაძეს „ნიკო გომელაურის სახელობის თეატრისთვის“ მუდმივმოქმედი სცენის მოწყობის მიზნით.

სპექტაკლის ჩვენებას ესწრებოდა საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, დავით დონდუა და საელჩოს წარმომადგენლები. საქართველოს ელჩმა მისასლმებელი სიტყვით მიმართა ქართველ და ბერძენ მაყურებელს.

„თბილისობის“ ფესტივალი ქ. კიოლნში

24-25 სექტემბერს, ქ. კიოლნში დიასპორული ორგანიზაციის „ქართულ-გერმანული კულტურის გაცვლითი საზოგადოების“ ხელმძვანელის, თამარ ბურდულისა და საზოგადოების წარმომადგენლის, ტილო ჰერდეს ორგანიზებით თბილისობის ფესტივალი გაიმართა.

ფესტივალის მიზანს წარმოადგენდა ადგილსამყოფელ ქვეყანაში საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლება, მრავალფეროვანი კულტურის წარმოჩენა და პოპულარიზაცია.

თბილისობის ფესტივალი მისასალმებელი სიტყვით გახსნეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ლევან იზორიამ, კიოლნ-ლინდენტალის მერმა, კორნელია ვაიტეკამპმა და ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალურმა კონსულმა, გიორგი ტაბატაძემ.

ღონისძიება დატვირთული იყო მრავალმხრივი კულტურული - ლიტერატურული, კულინარიული, მუსიკალური პროგრამებით. გაიმართა ქართველი მწერლის, დათოტურაშვილის წიგნის პრეზენტაცია, რომელიც თავად ავტორმა წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას, ფოლკლორული ბენდი „ჩვენებურები“-ს და ფოლკ-დიჯეი დუდუ დუდუნიას კონცერტები და შესრულდა ქართული ცეკვები.

გარდა ამისა, ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს და მუსიკალური ნომრები შეასრულეს გერმანიაში არსებულმა სხვა ქართულმა დიასპორულმა ორგანიზაციებმა და საკვირაო სკოლების წარმომადგენლებმა. ორი დღის განმავლობაში 500-ზე მეტი როგორც ქართველი, ისე არაქართველი სტუმარი ეწვია მრავალფეროვან ღონისძიებას, არამარტო გერმანიის სხავადასხვა ფედერალური მიწებიდან, არამედ ევროპის ახლომდებარე სხვა ქვეყნებიდანაც.

„დიასპორა, როგორც მნიშვნელოვანი პარტნიორი ჰუმანიტარული დახმარების, განვითარების და მშვიდობის უზრუნველყოფის კონტექსტში“

გაეროს გენერალური ასამბლეის 77-ე სესიის მაღალი დონის კვირეულის ფარგლებში დიასპორის შესახებ ონლაინ შეხვედრა ჩატარდა. მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა გაეროს მიგრაციის სააგენტოს - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) გენერალურმა დირექტორმა ანტონიო ვიტორინომ.

შეხვედრის ფარგლებში მომხსენებლებმა წარმოაჩინეს დიასპორის მდგრადი და ეფექტური ჩართულობის საუკეთესო გამოცდილება. ხაზი გაუსვეს დიასპორის წარმომადგენლების რესურსსა და შესაძლებლობებს, რომლის მეშვეობითაც მათ ფასდაუდებელი ჰუმანიტარული დახმარების, განვითარების და მშვიდობის უზრუნველყოფა შეუძლიათ. ძირითადი პანელის შემდგომ, პირველ

აგვისტო-სექტემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

მომხსენებლად, სიტყვით გამოვიდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ კონსტანტინიდი. მან ხაზი გაუსვა საქართველოს სახელმწიფოსა და ქართულ დიასპორას შორის მჭიდრო თანამშრომლობას, ისაუბრა კრიზისულ პერიოდში (განსაკუთრებით - გლობალური პანდემიის დროს) ადგილსამყოფელ ქვეყნებში მყოფ თანამემამულეებთან ერთობლივად გადადგმულ ეფექტურ ნაბიჯებზე. ვლადიმერ კონსტანტინიდიმ საზოგადოებას გააცნო მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) თანამშრომლობით განხორციელებული და დაგეგმილი პროგრამები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში დიასპორის ჩართულობას უწყობს ხელს.

ქ. ნიურნბერგში ქართული დიასპორისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა

27 სექტემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და გაეროს მიგრაციის სააგენტოს - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ორგანიზებით, ქალაქ ნიურნბერგში, ქართული დიასპორისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ - ვლადიმერ კონსტანტინიდიმ. მან ისაუბრა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში დიასპორის ჩართულობის ხელშეწყობის, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებსა და

ადგილობრივ ბიზნესს შორის თანამშრომლობის გაძლიერების მნიშვნელობაზე.

ღონისძიებაზე სიტყვით ასევე გამოვიდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი, ნოშრევან ლომთათიძე, რომელმაც წარმოადგინა პრეზენტაცია საქართველოს ბიზნეს გარემოს, მთავრობის მიერ გატარებული რეფორმების, საერთაშორისო ორგანიზაციების რეიტინგების, ენერგეტიკული, სატრანსპორტო-ლოგისტიკური და IT სფეროში არსებული შესაძლებლობების, ასევე ინვესტირებისა და ექსპორტის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების შესახებ. ქართულ დიასპორასა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს შორის შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა გერმანიაში მცხოვრები თანამემამულეების ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება ადგილობრივი წარმოების სტანდარტების შესახებ, ასევე პარტნიორული ურთიერთობების დამყარების, გერმანიის ბაზარზე წვდომისა და უცხოელი ინვესტორების დაინტერესების მიმართულებით.

ღონისძიება განხორციელდა პროექტის - ,,ევროკავშირის ინოვაციური პროექტი საქართველოში კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის“ ფარგლებში.

შეხვედრა „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებულთან ალექსანდრე ქიზიყურაშვილთან

28 სექტემბერს, ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ევროკავშირთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელმა, ვახტანგ მახარობლიშვილმა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებულთან, ალექსანდრე ქიზიყურაშვილთან.

შეხვეხრაზე განხილულ იქნა „ახალგაზრდა ელჩის“ მანდატის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები, ასევე საელჩოს თანამშრომლობა და მხარდაჭერა აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების პროცესში.

აგვისტო-სექტემბრის დიასპორული
საინფორმაციო ბიულეტენი
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამების გამარჯვებულები გამოვლინდა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამების: „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“, „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერისა“ და „უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერის“ გამარჯვებულები გამოვლინდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ახალგაზრდობის სააგენტოსა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებული საკონკურსო კომისიის წევრები, გამარჯვებული კანდიდატების შერჩევის დროს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ კონკურსის ფარგლებში წინასწარ წარმოდგენილ პროექტების და სამოქმედო გეგმების აქტუალობას და მასშტაბურობას, ასევე, კანდიდატების მოტივაციას და დიასპორული აქტივობების გამოცდილებას, მათ ინფორმირებულობას თავად პროგრამების, საქართველოსა და ადგილსამყოფელი ქვეყნის შესახებ.

„დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის შედეგად შემოსული 71 პროექტიდან საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით გაიმარჯვა 17-მა პროექტმა: „ვიცოდეთ რისი პატრონები ვართ - ფოტოგამოფენა საგანძური“ - რუსუდან ზაზაშვილი (ავსტრიის რესპუბლიკა); „სპიჩის“ ინგლისურენოვანი ვებ-გვერდი და უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერების მასტერკლასები“ - ზურაბ ქათამაძე (ამერიკის შეერთებული შტატები); საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი „საზეიმო გალაკონცერტი“ - ბექა გოგინაშვილი (ამერიკის შეერთებული შტატები); „ნიუ-იორკის ქართული ჰანგები" - ფიქრია ბარბაქაძე (ამერიკის შეერთებული შტატები); „ქართული აკადემიური მუსიკის პოპულარიზაცია/საქართველოს მშვიდობიანი მისია მსოფლიოში“ - მაია შიოშვილი (ამერიკის შეერთებული შტატები); „დაიმკვიდრე მომავალი" - ანა ნანუაშვილი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა); „ქართლის ცხოვრების“ ორი თხზულების ხელნაწერი ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში“ - თამარ ლაცაბიძე (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის სამეფო); „ქართული სპორტი ევროპაში“ - ბერდია ლიპარტელიანი (ესპანეთის სამეფო); „აფხაზეული“ - ნანატა ფერაძე-ჰამმერინ (ესტონეთის რესპუბლიკა); „ინტერნეტ-სამაუწყებლო პლატფორმა „Diaspora TV” - დავიდ ალონ (ისრაელის სახელმწიფო); „თბილისური დღეები მილანში“ - ინგა მჭედლიშვილი (იტალიის რესპუბლიკა); „კანადურ-ქართული სავაჭრო პალატის აქტივობების გაშლა კანადის მასშტაბით, საქართველოში კანადური ბიზნეს ინტერესების მოზიდვის მიზნით“ - დავით ირემაძე (კანადა); „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბერძნეთის სამეფოს ურთიერთობა

1918 – 1921 წწ.“ - გიორგი ჯანელიძე (საბერძნეთის რესპუბლიკა); „ნიკო გომელაურის სახელობის თეატრისთვის მუდმივმოქმედი სცენის მოწყობა“ - ნიკოლოზ გავრიელიდი (საბერძნეთის რესპუბლიკა); „გზამკვლევი საბერძნეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისთვის“ - რევაზ კიკნაძე (საბერძნეთის რესპუბლიკა); „წარმატებების ფორმულა" - ქეთევან ბაღათურია (შვედეთის სამეფო); „თბილისობა შვეიცარიაში 2022“ - ენრიკე გიორგი ცბინდენი (შვეიცარიის კონფედერაცია).

„იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ პროგრამის ფარგლებში შემოსული 52 განაცხადიდან, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, გამოვლინდა 16 გამარჯვებული: მარიამ რურუა - ავსტრიის რესპუბლიკა, ალექსანდრე ქიზიყურაშვილი - ბელგიის სამეფო, თამარი ახალაძე - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, გვანცა შაორშაძე - დანიის სამეფო, მარიამ ხოკერაშვილი - დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ნატალი ჩხიტუნიძე -

ესპანეთის სამეფო, გიორგი მჭედლიძე - ესტონეთის რესპუბლიკა, კარლო კოვზანაძე - ირლანდიის რესპუბლიკა, გიორგი კოჩობაშვილი - ისრაელის სახელმწიფო, სოფიკო გეგეჭკორი - კორეა, მაკა ბერულავა - ლიეტუვა, თამარ მნათობიშვილი - ნიდერლანდების სამეფო, თორნიკე ცირეკიძე - პოლონეთის რესპუბლიკა, გიორგი პაპავა - საბერძნეთის რესპუბლიკა, სოფიო ბაქანიძე - საფრანგეთის რესპუბლიკა, თამუნა ჯაფარიძე - უნგრეთი.

„უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში შემოსული 26 განაცხადიდან, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, გამოვლინდა 10 გამარჯვებული: მაყვალა ასლამაზაშვილი - ანსამბლი „იმედი“ (აზერბაიჯანის რესპუბლიკა); რუსუდან გალდავა - ანსამბლი „ფესვები“ (ამერიკის შეერთებული შტატები); ალექსანდრე სავანელი - ანსამბლი „მედეა“ (ბელგიის სამეფო); თინათინ დათაშვილი - ანსამბლი :ჯეომიქსი“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა); ვერიკო გერგედავა - ანსამბლი „ზეკარი“ (ესპანეთის სამეფო); ნურულლაჰ ილდირიმი - ბენდი „რირაში“ (თურქეთის რესპუბლიკა); რუსუდან საბაძე - ანსამბლი „საქართველო“ (საბერძნეთის რესპუბლიკა); ხათუნა ლობჯანიძე - ანსამბლი „არმაზელები“ (საბერძნეთის რესპუბლიკა); ანა კურტანიძე - ანსამბლი „ნანტ-თბილისი“ (საფრანგეთის რესპუბლიკა); ზვიად აბულაძე - ანსამბლი „სურვილი“ (ყაზახეთის რესპუბლიკა).

აღსანიშნავია, რომ ხსენებული საგრანტო პროგრამები მიზნად ისახავს ქართული დიასპორის სამშობლოსთან კავშირების გაღრმავებას, საზღვარგარეთ საქართველოსა და ქართული კულტურის პოპულარიზაციას, ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის და ეროვნული ინტერესების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელებას, თანამემამულეებში ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და საქართველოს ახალგაზრდა უცხოელ მეგობართა წრის გაფართოვებას. ამ მიზნით, პროგრამების გამარჯვებულები, მიმდინარე წლის განმავლობაში განახორციელებენ მრავალფეროვან კულტურულ-შემოქმედებით, სპორტულ, საგანმანათლებლო და სხვა სახის აქტივობებს ადგილსამყოფელ ქვეყნებში.

აგვისტო-სექტემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

შ. ჩიტაძის ქ.4

თბილისი, 0118

ტელ:

(+995 32) 2945000

ფაქსი:

(+995 32) 2945001

ელ. ფოსტა

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia/

/MFA Geo

www.mfa.gov.ge

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო